ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - პეტროს ვართანიან

თანამდებობის დასახელება - ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო' თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია

არჩევის წესი - (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - # 37.10 ახალციხის მაჟორიტარული ოლქი

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის 01.01 -დან 2023 წლის 01.11 მდე.

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   01.01.2023 წ.-დან 01.11.2023წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა -10
   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 10

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023წ.

   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 6, ესწრებოდა - 6 სხდომას.

   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 6 , ესწრებოდა - 6 სხდომას.

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 2 სხდომა
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა

1. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები;

   1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განხორციელებული ცვლილების შესახებ (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში) - ინფორმაციის სახით;
   2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
   3. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმოხილვისა და შეფასების შესახებ;
   4. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;
   5. „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ;
   6. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
   7. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გეცემის წესის დამტკიცების შესახებ;
   8. „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   9. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
   10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

2. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 8 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 210
   მოსახელობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო, ისე გასვლით შეხვედრებზე.
   მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები მოიცავს სოციალურ პრობლემებსა და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

კონკრეტულად მოქალაქეები ითხოვენ;

1. გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება - 9 სოფელში(წყალთბილის ადმინისტრაციული ერთეულის -5 სოფელს, პამაჯის ადმინისტრაციული ერთეულის -4 სოფელს); ზემოთაღნიშნულ სოფლებში არის ბეტონის გზა, რომელიც არაა დასრულებული. მოსახლეობა ითხოვს დასრულებას. ამ ეტაპზე ტენდერი არ არის გამოცხადებული, მაგრამ მიწოდებულია საკითხი მერიასთან. არNშნული სამუშაოების დასრულება იგეგმება 2024 წელს;
2. სანიაღვრე არხების და გარე განათების მოწყობის საკითხი დასვეს 11 სოფელის მოასხლეობამ. (საძელის ადმინისტრაციული ერთეულის 2 სოფელი; წყალთბილის ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელი), პამაჯის ადმინისტრაციული ერთეულის 4 სოფელი). ამ ეტაპისთვის პროგრამა არაა ტენდერზე გატანილი, თუმცა მიწოდებულია საკითხი მერიასთან და განიხილება;
3. სასმელი წყლის მილების რეაბილიტაციას ითხოვს 2 სოფელი- ხაკი და პატარა პამაჯი, ეს საკითხი მიმდინარე წელს დასრულდება.

მოქალაქეებთან განხილული ყველა საკითხი დეპუტატის შუამდგომლობით მიეწოდა მერიას.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

1. თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.
2. ასევე მაისის თვეში მომხდარი სტიქიური მოვლენების დროს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის (წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში) წარმომადგენლებთან ერთად, სალიკვიდაციო სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით გაიწმინდა მდინარის კალაპოტი და სანიაღვრე არხი, აქტიურად დასუფთავდა სტიქიისგან დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებლები.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოასახლეობას ჩაუტარდა უფასო გასინჯვები, სკრინიგები, რომელიც მოიცავდა: ექოსკოპიას, მამოლოგიას, თერაპიას, გინეკოლოგიას, ონკოლოგიურ კვლევებს.

შევსების თარიღი: 18.10.2023 წ

წარდგენის თარიღი: 23.10.2023

ხელის მოწერა: